სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

36289369180417

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N170766903

რეგისტრაციის თარიღი

07.07.2017 წ

ნოტარიუსი: ნანი სიდამონიძე
მისამართი: ქ. თბილისი, დ.გურამიშვილის გამზ #27
ტელეფონი: 593-32-67-97

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სანოტარო აქტი

საქართველო

ორიათას ჩვიდმეტი წლის შვიდ ივლისს მე, ნოტარიუსს **ნანი სიდამონიძეს,** რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, დ. გურამიშვილის გამზ. №27, მომმართა **შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება " სამთა"-ს (ს/კ 204896899)** დირექტორმა ბატონმა *იოსებ ჟღენტმა,* რომელმაც განაცხადა, რომ სურს საზოგადოების სახელით *გივი საბაშვილს* მიანიჭოს გარკვეული უფლებამოსილება და ამისათვის მოითხოვა სათანადო აქტის (მინდობილობის) შედგენა და მისი სანოტარო წესით დამოწმება.

მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ ნამდვილად *იოსებ ჟღენტმა (დაბ. 17.07.1982წ. პ № 01005006071. მისამართი :* **თბილისი მცხეთის ქ. N 24 ბ. 3** *)* მომმართა.

მე შევამოწმე მისი უფლებამოსილება. იგი უფლებამოსილია წარმოადგინოს **შპს " სამთა" (ს/კ 204896899)** , რაც დასტურდება მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრიდან ამონაწერით **(იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, გლდანი – ნაძალადევის რაიონი, ფეიქრების ქუჩა № 14) , რეგისტრაციის თარიღი: 27.02.1997წ. საიდენტიფიკაციო კოდი: № 204896899), გაცემული 24.12.2015 11.29.00.**

მე დავადგინე მისი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. შემდეგ დავადგინე მისი ნების გამოვლენის ნამდვილობა. მე, ნოტარიუსმა **ნანი სიდამონიძემ** წინამდებარე მინდობილობა წავუკითხე *იოსებ ჟღენტს* განვუმარტე მისი შინაარსი. მან დაადასტურა, რომ მინდობილობა სრულად გამოხატავს მის ნებას, რის შემდეგაც პირადად მოაწერა ხელი წინამდებარე მინდობილობას:

მინდობილობა

ორიათას ჩვიდმეტი წლის შვიდ ივლისს *იოსებ ჟღენტმა (დაბ. 17.07.1982წ. პ № 01005006071. მისამართი :* **თბილისი მცხეთის ქ. N 24 ბ. 3** *)* როგორც **შპს " სამთა" -ს (ს/კ 204896899)** დირექტორმა, რომელიც შემდეგში წოდებულია, როგორც **„მარწმუნებელი“**, წინამდებარე მინდობილობით *გივი საბაშვილს (დაბ. 20.05.1959წ. პ № 36101058352. მისამართი :* **საგარეჯო ს. მანავი 30–ე ქ. N 8)** რომელიც შემდეგში წოდებულია, როგორც **„რწმუნებული“**, მიანიჭა შემდეგი უფლებამოსილება:

„რწმუნებული“ უფლებამოსილია იყოს მარწმუნებლის როგორც **შპს „სამთა" -ს (ს/კ 204896899)** წარმომადგენელი ნებისმიერ სახელმწიფო დაწესებულებასა და ორგანიზაციაში, მათ შორის მერიაში, ურბანული დაგეგმარების სამსახურში, არქიტექტურის სამსახურში, გამგეობაში, მიწის აღიარების კომისიაში, საკრებულოში, ზედამხედველობის სამსახურში, არქივში, საპროექტო სამსახურში, საჯარო რეესტრში, შეაგროვოს საჭირო დოკუმენტები, ჩააბაროს საბუთები, მიმართოს განცხადებით, გადაიხადოს გადაიხადოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადები, და შეასრულოს ყველა საჭირო მოქმედება, რაც დაკავშირებული იქნება **შპს „სამთა" -ს (ს/კ 204896899)** კუთვნილი უძრავი ქონების **ლეგალიზაცია - დაკანონება - რეგისტრაციასთან.**

„რწმუნებული“ უფლებამოსილია დაარეგისტრიროს საჯარო რეესტრში უძრავი ქონება, მიიღოს ამონაწერი.

მინდობილობა ძალაშია 07.07.2018 წლის ჩათვლით.

მინდობილობა შედგენილია სამ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლიარად, რომლის ერთი ეგზემპლიარი ინახება სანოტარო არქივში, ხოლო დანარჩენი გადაეცა მხარეს.

გადახდილია – 13.80 ლარი, აქედან: სანოტარო საზღაური : 10 (ათი) ლარი , თანახმად „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების“ შესახებ საქართველოს მთავრობის დადგენილების (2011წლის 29 დეკემბერი, №507) 31-ე მუხლისა, დღგ 1.80 ლარი და რეესტრში რეგისტრაციის საფასური 2 ლარი (დღგ-ს ჩათვლით), თანახმად საქართველოს მთავრობის დადგენილების (2011წლის 29 დეკემბერი, №507) 39-ე მუხლისა.

მარწმუნებელი: _____

ნოტარიუსი: _____ /ნანი სიდამონიძე/